* პროექტი*

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 5-ით დამტკიცებული:

ა) „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილების დანართი 1)“:

ა.ა) 5^1 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელიც უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას.“;

ა.ბ) 7^2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელიც უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას.“;

ა.გ) 7^4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. დეპარტამენტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობას.“;

ბ) „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები“ (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილების დანართი 2) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 2

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობის	საშტატო ერთეულის	თანამდებობრივი

		რანგი	რაოდენობა	სარგო
	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ბიურო			
1.	ბიუროს უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	6650
2.	ბიუროს უფროსის მოადგილე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	II	1	5985
3.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	3458
4.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2926
	სულ		6	
	სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	6650
I	სამართლებრივ საკითხთა სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	5320
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	3458
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	2926
II	საფინანსო-სამეურნეო სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	5320
2.	მთავარი ბუღალტერი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	3724
3.	უფროსი კონსულტანტი (სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი) - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	3724
4.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	3458
5.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2926
	სულ		11	
	ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	6650
2.	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	II	1	5985
I	კანცელარია			
1.	კანცელარიის უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	3724
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	3458
3.	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რეფერენტი - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	15	2394
II	სასამართლოს მანდატურის სამსახური			
1.	სამსახურის უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	2926
2.	სასამართლოს მანდატური - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	IV	5	1995
	სულ		25	
	ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი			

1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	6650
I	ადამიანური რესურსების პოლიტიკის მართვისა და ანალიზის სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	5320
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	3458
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	4	2926
	სულ		8	
	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	6650
2.	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	II	1	5985
I	საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველო			
1.	სამმართველოს უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	5320
2.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	3458
3.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	2926
	სულ		6	
	მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	6650
2.	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	II	1	5985
3.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	3458
4.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	4	2926
	სულ		8	
	სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი			
1.	დეპარტამენტის თავმჯდომარე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	6650
2.	დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	II	1	5985
3.	უფროსი კონსულტანტი - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	3	3458
4.	კონსულტანტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	3	2926
	სულ		8	
	სულ ჯამში		72“.	

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი